პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>

ნინო ფეტვიაშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

<u>წევრები:</u>

ქეთევან ჯანელიძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ვანო ოთხოზორია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“**

საიდენტიფიკაციო კოდი: **204859634**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

შპს -საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიაში“ ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 4 თებერვლის N101 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების („კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“, „სასტუმროს მართვის სპეციალისტი“, „ტანსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერი“ და „ფინანსური მენეჯერი“) დამატების მიზნით მათი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად (**იხ. დანართი N1**). ვიზიტის პირველ დღეს შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების შეფასების სისტემის ქმედითუნარიანობა; ვიზიტის მეორე დღეს გადამოწმდა ადამიანური და მატერიალური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დოკუმენტაცია, მოხდა პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრება, ფართების დათვალიერება; განხორციელდა ვიზიტები პრაქტიკის ობიექტებზე, გასაუბრება პრაქტიკის მოდულების განმახორციელებელ პირებთან; ბიბლიოთეკის დათვალიერება, პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა რეესტრის შემოწმება, დაწესებულების წინაშე შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა აქტიურად ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან, წარმოადგინეს საჭირო დოკუმენტაცია და ორგანიზება გაუწიეს პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებთან შეხვედრებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

II. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი (ვრცელდება ოთხივე დასამატებელ პროგრამაზე)

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისაწიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისაწიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

	საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**		
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	[redacted]	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	[redacted]	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	[redacted]	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	[redacted]	☐
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	[redacted]	☐
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	[redacted]	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	[redacted]	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	[redacted]	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	[redacted]	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	[redacted]	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	[redacted]	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

VI. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი 1

ქვესტანდარტი 1.1

✓ დაწესებულებას სასწავლო პროცესის სრულყოფილად ორგანიზებისათვის სხვადასხვა დაწესებულებასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. თუმცა, ყველა ხელშეკრულებას ფრჩხილებში მიწერილი აქვს სათაურად „მემორანდუმი“. სასურველია, დაწესებულებამ დააზუსტოს წარმოდგენილი დოკუმენტები ხელშეკრულებაა თუ მემორანდუმები და შემდეგ დოკუმენტის რაობის შესაბამისად განსაზღვროს მისი პირობები;

✓ თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან მოდულში მითითებული შედეგის განმეორებით დადასტურების (გადაბარების) პირობა და პროგრამაში განსაზღვრული შედეგის განმეორებით დადასტურების (გადაბარების) პირობა;

✓ სასწავლო გეგმებში, იმ მოდულებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა, გათვალისწინებულ იქნას სწავლის შედეგების შესაძლო განმეორებითი დადასტურებისთვის საჭირო 1 კვირიანი ვადა;

✓ სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადა შემცირდეს და განისაზღვროს მოცულობის ადეკვატური დროით.

✓ დაწესებულების განმარტებით, სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კვირების ნუმერაცია არის „სასწავლო კვირის“ ნუმერაცია და იგი არ ემთხვევა კალენდარულ კვირას. ეს განმარტება ბუნდოვანს ხდის პროგრამის ხანგრძლივობას, ვინაიდან, მსგავსი მიდგომით, შესაძლოა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ე.წ. 60 „სასწავლო კვირა“, კალენდარულად უფრო დიდხანს გაგრძელდეს. აღნიშნული მიდგომა არსად არ არის განმარტებული. ექსპერტების რეკომენდაციაა, ეს საკითხი დაზუსტდეს, ნორმატიულ დოკუმენტებში მკაფიო ჩანაწერი გაჩნდეს, რომელიც სტუდენტებს გაუგებარ მდგომარეობაში არ ჩააყენებს და სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის საშუალებას მისცემს.

✓ სასურველია ხელშეკრულებები(მემორანდუმები) გაიმართოს იურიდიულად და გასწორდეს პროგრამის სახელწოდებები, ტექნიკური და ენობრივი შეცდომები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

✓ პროგრამები „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“, „ფინანსური მენეჯერი“ თავისი დასახელებით სტუდენტებისთვის შეცდომაში შემყვანია, ექსპერტების რეკომენდაციაა - პროგრამის დასახელება შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსსა და რეალურ კვალიფიკაციას;

✓ მოდულებში დაზუსტდეს მითითებული ლიტერატურა, რათა კონკრეტული სახელმძღვანელო ასახავდეს ენის ფლობის დონეს და სტუდენტისთვის იყოს მკაფიო და შედეგთან შესაბამისი. მაგ., ინგლისურისა და რუსულის ენების მოდულებში ლიტერატურაში, მითითებულ სახელმძღვანელოებში არ არის დაზუსტებული ენის ფლობის რომელი დონის სახელმძღვანელოა ან მითითებულია ყველა დონე (A2/ B1/B2) , რამაც შესაძლებელია, სტუდენტი შეცდომაში შეიყვანოს;

სტანდარტი 3

ქვესტანდარტი 3.3

✓ ექსპერტთა რეკომენდაციაა, გადაიხედოს მომსახურეობის ხელშეკრულებებები და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი იმ მოდულებთან და კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმასთან (პროგრამის მოცულობასთან), რათა პროგრამის მდგრადობა იყოს დასაბუთებული. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც პროფესიულ მასწავლებელთან მომსახურეობის ხელშეკრულებები გაფორმებულია 10 თვით (ერთი წლით ვადის გაგრძელების პერსპექტივით), როდესაც პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი მოდული კი პირველი წლის პირველ და მეორე წლის მეორე სემესტრში ხორციელდება. სასურველია, ასეთი მომსახურეობის ხელშეკრულების ვადა მოიცავდეს პროგრამის ან მოდულების განხორციელების პერიოდს. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული თანამდებობის პირს ჰქონდა ერთდროულად როგორც შრომითი ხელშეკრულება, ასევე მომსახურეობის ხელშეკრულებაც, რაც მომსახურეობის ხელშეკრულების დადების მიზანს ალოგიკურს ხდის. ექსპერტთა რეკომენდაციაა, ასეთი ტიპის შეუსაბამობები გასწორდეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯი «გეორგია”, როგორც კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, ორიენტირებულია იმ საზოგადოებრივი მისიის შესრულებაზე, რომელიც განპირობებულია ქართული საზოგადოების ეროვნული და ინტეგრაციული ინტერესებით. ეს გამოიხატება საერთაშორისო და ეროვნული გამოცდილების შერწყმის გზით მაღალკვალიფიციურ საგანმანათლებლო მომსახურებაში.

კოლეჯის მისიაა:

- სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე, შიდა და გარე ბაზრებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყოფა, როგორც სწავლის გაგრძელების, ისე დასაქმების, მათ შორის საკუთარი ბიზნესის წამოწყების თვალსაზრისით ;
- კოლეჯი შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ადამიანური რესურსების მოზიდვით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხიან და ეფექტურ წარმართვას. სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კურსების ფართო არჩევანს, რომელიც უზრუნველყოფს წარმატებულ და ეფექტიან განათლებას, თანაბარ ხელმისაწვდომობას, სწავლება-სწავლის სხვადასხვა მიდგომებისა და ფორმების შეთავაზებას და მორგებას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთაც;
- კოლეჯი ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის შექმნას, შრომის ბაზარზე პირის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობას პროფესიული მომზადებისა და გადამზადების გზით, სოციალური პარტნიორობისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარებას; პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სისტემის ჩამოყალიბებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
შპს-საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“ წარმოადგენს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №17 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 416 სტუდენტით. (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №58 2016 წლის 28 ივლისის №17 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.)
შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“ სასწავლო პროცესს ახორციელებს ქ.თბილისში, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს სწავლება პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროგრამებზე (სულ 12 პროგრამა), რომლებიც ამ ეტაპზე უკვე მილევად რეჟიმშია. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგიას“ სურს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის“, „სასტუმროს მართვის სპეციალისტის“, „ტანსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერისა“ და „ფინანსური მენეჯერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ოთხივე პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ. კერძოდ, დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

შინაგანაწესის მიხედვით (თავი V, მუხლი 17.3), პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განიხილავს და დასამტკიცებლად უგზავნის დირექტორს სასწავლო-მეთოდური საბჭო.

დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც აღწერილია თუ რას ეფუძნება გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროგრამების განხორციელების შესახებ. დაწესებულება ეყრდნობა ძირითადად შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევას; დასაქმების კერძო სააგენტოს - hr.ge-ის მიერ გამოქვეყნებული ვაკანსიების მინი-კვლევას და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევის შედეგებს.

დაწესებულებას სასწავლო პროცესის სრულყოფილად ორგანიზებისათვის სხვადასხვა დაწესებულებასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები(მემორანდუმები), რომლითაც დადასტურებულია პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების ნებელობა. დოკუმენტებში არ არის დაზუსტებული კონკრეტული მოდულები, სტუდენტთა რაოდენობა, კრედიტების რაოდენობა და სხვა პირობები. ყველა დოკუმენტს სათაურად აწერია „ხელშეკრულება“, თუმცა, ფრჩხილებში მიწერილი აქვს „მემორანდუმი“. დაწესებულებამ განგვიმარტა, რომ ეს არის მემორანდუმები. სასურველია, დოკუმენტის გაფორმებისას, დაზუსტდეს ხელშეკრულებაა თუ მემორანდუმები და შემდეგ დოკუმენტის რაობის შესაბამისად განისაზღვროს პირობები;

1. *ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მართვის სპეციალისტი“.*

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმროს მართვის სპეციალისტი“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე „სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering“. კურსდამთვრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში.

პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით. სასტუმროს მომსახურებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაგეგმილია შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი სავალდებულო მოდულების პარალელურად გაცნობითი პრაქტიკის და საერთო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

პროფესიული/დარგობრივი მოდულების სწავლება, ხოლო შემდეგ, სპეციალიზაციის დარგობრივი/პროფესიულ მოდულები. პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და ,,პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. პროგრამის განხორციელებას დაწესებულება აპირებს შემდეგნაირად: მოდულებით გათვალისწინებული თეორიული ნაწილი განხორციელდება კოლეჯში, ხოლო, პრაქტიკული კომპონენტები პარტნიორ დაწესებულებებში. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს უვადო ხელშეკრულება(მემორანდუმები) შემდეგ ორგანიზაციებთან: “ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი“; სს „fund Investment” Dermitory Hualing Tbilisi Hotel ; შპს „ციტრუსი“; შპს „ჯი ემ თი სასტუმროები“. გაფორმებულ ხელშეკრულებებში(მემორანდუმებში) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მითითებულია როგორც „სასტუმრო საქმის სპეციალისტი“, ნაცვლად „სასტუმროს მართვის სპეციალისტისა“. მხოლოდ შპს „ციტრუსთან“ დადებულ ხელშეკრულებაშია პროგრამის დასახელება მითითებული სწორად. სასურველია, ასეთი ტიპის უზუსტობები გადამოწმებულ იქნას და შეტანილი იყოს შესწორებები.

აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხილულია სასწავლო მეთოდური საბჭოს სხდომაზე ოქმი №2. 28/09/2018 დამტკიცებულია ბრძანებით № 29. 28/09/2018 ცვლილებები დამტკიცებულია ბრძანებით № 2. 08/02/2019.

2. ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“,***

შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით დამტკიცებული “კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ (ცვლილება 11.12.2018 N1097), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 64 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 14, სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები - 48 კრედიტი. პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 60 სასწავლო კვირა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის არის 79 კრედიტი.

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხილულია სასწავლო დაწესებულების მეთოდური საბჭოს სხდომაზე (ოქმი №2. 28/09/2018) და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 29, 28/09/2018., ცვლილებები დამტკიცებულია ბრძანებით № 2. 08/02/2019.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო ზოგადი და სავალდებულო პროფესიული მოდულები. არჩევითი მოდულები არ არის გათვალისწინებული.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის“ სასწავლო გეგმის მიხედვით, მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ ისწავლება 15 სასწავლო კვირის განმავლობაში, ხოლო უშუალოდ მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა - კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ (პუნქტი 3.4) გვხვდება ჩანაწერი, რომ „მოდული ხორციელდება 13 კვირის განმავლობაში“. <u>ამასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლებმა ეს ახსნეს, როგორც ტექნიკური ხარვეზი. რაც შეეხება 15 კვირიან გაცნობითი პრაქტიკის საკითხს, ვიზიტის დროს შეტანილ იქნა ცვლილება სასწავლო გეგმაში და 15 კვირა შეიცვალა 5 კვირად. შესაბამისად, გამოიცა ბრძანება ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილებები დამტკიცებულია ბრძანებით №42. 09/02/2019.</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. ძირითადი პროფესიული მოდულების უმრავლესობაში - მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები(პუნქტი 3.6), გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: “იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა რომელიმე კომპონენტზე (მაგალითად ტესტი ან პროდუქტი) ვერ გადალახა შესაბამისი ზღვარი, <u>მას ეძლევა ამ კომპონენტის ერთჯერ ან ორჯერ (თუ ძალიან რთულია) თავიდან გადაბარების უფლება. ექსპერტთა მოსაზრებით ჩანაწერი ბუნდოვანია. არსად არ არის განმარტებული რას გულისხმობს დაწესებულება ფრაზაში „ძალიან რთულის შემთხვევაში“ (თვით პროგრამაში გადაბარების ვადად მითითებულია 7 დღე). დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ეს ჩანაწერი უფრო მკაფიო და აღქმადი გახდეს, როგორც სტუდენტისთვის, ასევე ნებისმიერი პირისთვის, რაც დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა ვიზიტის დროს.</u>

კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის“ პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად განუსაზღვრელი ვადით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება(მემორანდუმები) შპს „დიო“, შპს „არტსტუდიო“ და შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-სთან.

როგორც აღვნიშნეთ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის“ ფარგლებში ხელშეკრულება(მემორანდუმები) დადებულია შპს „არტსტუდიო პროექტი“ ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

შპს „ახალი საქქალაქშენპროექტი“, შპს „დიო“ „საწარმოო პრაქტიკის პროგრამის“ განსახორციელებლად, სადაც, სავარაუდოდ, იგულისხმება მოდული „საწარმოო პრაქტიკა“. თავის მხრივ მოდულში „საწარმოო პრაქტიკა“ მითითებულია სასწავლო გარემოს მოდელი:- კოლეჯი „გეორგია“ (B გარემო) და პრაქტიკის ობიექტი: „არტსტუდიო პროექტი“, „ახალი საქქალაქმშენ პროექტი“. ექსპერტების მიერ შპს „დიოს“ ობიექტის მონახულებისას, კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს სრული მზაობა თანამშრომლობისათვის და მათი ინტერესი, რომ მუდმივად საჭიროებენ ახალ კადრს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“ შემუშავების სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია

- ✓ საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- ✓ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტები:

- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი
- სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
- საკერავი მანქანის ოპერატორი
- სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი
- ეროვნული სამოსის სპეციალისტი

ზემოთჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის “სამკერვალო წარმოება Sawing industry” შემუშავების სამართლებრივ საფუძვლებს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“ შემუშავების სამართლებრივ საფუძველს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისი ცვლილება შეიტანოს პროგრამის ჩარჩოში.

<u>პროგრამის თანმდევ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ხელშეკრულებები(მემორანდუმები), რომლებიც გაფორმებულია შპს „ უნისტილთან “ და შპს „ ევროტექსთან“ (დაწესებულებები ასევე მოხსენიებულია მოდულებში „პრაქტიკული პროექტი“ და „საწარმოო პრაქტიკა“) ხელშეკრულებებში პროფესიული პროგრამის სახელწოდებად მითითებულია - *გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ საგანმანათლებლო პროგრამა*</u> მოგეხსენებათ, დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სამკერვალო წარმოების მიმართულებით წარმოდგენილი პროგრამის სახელწოდებაა „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“. სასურველია გასწორდეს ეს უზუსტობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერის“ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდებას წარმოადგენს „სამკერვალო წარმოება“. მართალია, პროგრამა სხვადასხვა მოდულში მოიცავს კონსტრუირებისა და მოდელირების ელემენტების სწავლებას, თუმცა პროფესიული პროგრამის შედეგებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მისი გავლის შემდეგ სტუდენტი თავისი კვალიფიკაციით ვერ იქნება კონსტრუქტორ-დიზაინერი, ამიტომ ექსპერტების აზრით, სახელწოდებამ შესაძლებელია სტუდენტს მოლოდინები არ გაუმართლოს და შეცდომაში შეიყვანოს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფინანსური მენეჯერი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ფინანსური მენეჯერი“** შექმნილია **ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting**,ის საფუძველზე. მისანიჭებელი კვალიფიკაციაა მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - Fifth level vocational qualification inAccounting.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო ზოგადი (3) და სავალდებულო პროფესიული მოდულები (16). სასწავლო გეგმა გადანაწილებულია 2,5 სასწავლო წელზე (99 სასწავლო კვირა).

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „„**ფინანსური მენეჯერი“** ფარგლებში წარმოადგინა ორი ხელშეკრულება(მემორანდუმი), რომლებიც გაფორმებულია ორგანიზაციებთან შპს **„ორი ნაბიჯი** “ და შპს **„ გუდვილი“.** შპს „ ორი ნაბიჯთან “გაფორმებულ დოკუმენტში საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად მითითებულია „საფინანსო სერვისები“, ხოლო შპს „გუდვილთან“ გაფორმებულ დოკუმენტში საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად მითითებულია „ბუღალტრული აღრიცხვა“. მოგეხსენებათ, დაწესებულების წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პროგრამის სახელწოდებაა „ფინანსური მენეჯერი“. პროგრამის ერთ-ერთ მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა“, მოდულის განხორციელების მიდგომებში აღნიშნულია, რომ „გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში ადგილზე ეცნობიან ბუღალტრის მუშაობას, საზოგადოებრივი კოლეჯი “გეორგია“-ს პარტნიორ ორგანიზაციებში, რომლებთანაც მემორანდუმების მეშვეობით უზრუნველყოფილია პროგრამის გაცნობითი პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.1. შპს „ორი ნაბიჯი“. მის. თბილისი, 0113, ისანი ნავთლუღის ქ. 39/41.სს 2. „გუდვილი . მის. თბილისი, ფარნავაზ მეფის 1 . აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა ჩავთვალეთ, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

წარმოდგენილ ხელშეკრულება(მემორანდუმებში) პროგრამის სახელწოდებებთან დაკავშირებით გაპარულია ტექნიკური შეცდომა, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციაა გასწორდეს პროგრამის სახელწოდებაში დაშვებული უზუსტობები. ამას გარდა ექსპერტებს აქვთ რეკომენდაცია პროგრამის დასახელება შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსსა და რეალურ კვალიფიკაციას.

„ფინანსური მენეჯერის“ პროგრამაში მოდული „გაცნობითი პრაქტიკა - სასწავლო გეგმის თანახმად ისწავლებოდა 15 სასწავლო კვირის განმავლობაში. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაითვალისწინეს ექსპერტთა შენიშვნა და შეიტანეს ცვლილება პროგრამაში, მოდულში და სასწავლო გეგმაში და მოდულს განახორციელებენ უფრო შემჭიდროვებულ ვადებში.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ***„სასტუმროს მართვის სპეციალისტი“,*** **“კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი”** და **„ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“** პუნქტში-სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება - მითითებულია, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მოდული სხვა მოდულის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს, პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება, აღნიშნული მოდულის, ერთჯერ, თავიდან გადაბარების, 7(შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში“. ამავე პროგრამებისათვის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში, (***„სასტუმროს მართვის სპეციალისტი“***გაწერილია 68 კვირაზე, “კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი” გაწერილია 60 კვირაზე, „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“ გაწერილია 84 კვირაზე), მოდულებისათვის, რომელთაც აქვთ წინაპირობა არ არის ეს 7 დღიანი გადაბარების ვადა გათვალისწინებული. დაწესებულებამ ამასთან დაკავშირებით განგვიმარტა, რომ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კვირების ნუმერაცია არის „სასწავლო კვირის“ ნუმერაცია და იგი არ ემთხვევა კალენდარულ კვირას. **ეს განმარტება** ბუნდოვანს ხდის პროგრამის ხანგრძლივობას, ვინაიდან, მსგავსი მიდგომით, შესაძლოა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 68 ე.წ. „სასწავლო კვირა“, კალენდარულად უფრო დიდხანს გაგრძელდეს. აღნიშნული მიდგომა არსად არ არის განმარტებული.**ექსპერტების რეკომენდაციაა, ეს საკითხი დაზუსტდეს, ამის შესახებ ნორმატიულ დოკუმენტებში მკაფიო ჩანაწერი გაჩნდეს, რომელიც სტუდენტებს გაუგებარ მდგომარეობაში არ ჩააყენებს და სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის საშუალებას მისცემს.**

<u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმებში სტუდენტის კვირეული დატვირთვა ხშირად შეადგენს 30 საათზე ნაკლებს, რაც დაწესებულებამ ახსნა იმ გარემოებით, რომ ორ ცვლაში სურს სწავლების განხორციელება, თუმცა ეს, გარკვეულწილად, ზრდის პროგრამის განხორციელების მოცულობას, და უფრო მეტად ორიენტირებულია ფინანსურ მოგებაზე, ვიდრე სტუდენტის ინტერესებზე.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა *„სასტუმროს მართვის სპეციალისტი“ 80 კრედიტი* გაწერილია 68 კვირაზე, “კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი” 79 კრედიტი გაწერილია 60 კვირაზე, „ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“ 99 კრედიტი გაწერილია 84 კვირაზე, „ფინანსური მენეჯერი“ 99 კრედიტი გაწერილია 79 კვირაზე). სასურველია, შემცირდეს და განისაზღვროს პროგრამების განხორციელების ვადა ადეკვატური დროით.

რეკომენდაციები:

- ✓ დაწესებულებას სასწავლო პროცესის სრულყოფილად ორგანიზებისათვის სხვადასხვა დაწესებულებასთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. თუმცა, ყველა ხელშეკრულებას ფრჩხილებში მიწერილი აქვს სათაურად „მემორანდუმი“. სასურველია, დაწესებულებამ დააზუსტოს წარმოდგენილი დოკუმენტები ხელშეკრულებაა თუ მემორანდუმები და შემდეგ დოკუმენტის რაობის შესაბამისად განსაზღვროს მისი პირობები;
- ✓ თანხვედრაში მოვიდეს ერთმანეთთან მოდულში მითითებული შედეგის განმეორებით დადასტურების (გადაბარების) პირობა და პროგრამაში განსაზღვრული შედეგის განმეორებით დადასტურების (გადაბარების) პირობა;
- ✓ სასწავლო გეგმებში, იმ მოდულებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ დაშვების წინაპირობა, გათვალისწინებულ იქნას სწავლის შედეგების შესაძლო განმეორებითი დადასტურებისთვის საჭირო 1 კვირიანი ვადა;
- ✓ სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადა შემცირდეს და განისაზღვროს მოცულობის ადეკვატური დროით.
- ✓ დაწესებულების განმარტებით, სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი კვირების ნუმერაცია არის „სასწავლო კვირის“ ნუმერაცია და იგი არ ემთხვევა კალენდარულ კვირას. ეს განმარტება ბუნდოვანს ხდის პროგრამის ხანგრძლივობას, ვინაიდან, მსგავსი მიდგომით, შესაძლოა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ე.წ. 60 „სასწავლო კვირა“, კალენდარულად უფრო დიდხანს გაგრძელდეს. აღნიშნული მიდგომა არსად არ არის განმარტებული. ექსპერტების რეკომენდაციაა, ეს საკითხი დაზუსტდეს, ნორმატიულ დოკუმენტებში მკაფიო ჩანაწერი გაჩნდეს, რომელიც სტუდენტებს გაუგებარ მდგომარეობაში არ ჩააყენებს და სასწავლო პროცესის სწორად დაგეგმვის საშუალებას მისცემს.
- ✓ სასურველია ხელშეკრულებები(მემორანდუმები) გაიმართოს იურიდიულად და გასწორდეს პროგრამის სახელწოდებები, ტექნიკური და ენობრივი შეცდომები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

✓ პროგრამები„ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი“ „ ფინანსური მენეჯერი“ თავისი დასახელებით სტუდენტებისთვის შეცდომაში შემყვანია, ექსპერტების რეკომენდაციაა პროგრამის დასახელება შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსსა და რეალურ კვალიფიკაციას;

✓ მოდულებში დაზუსტდეს მითითებული ლიტერატურა, რათა კონკრეტული სახელმძღვანელო ასახავდეს ენის ფლობის დონეს და სტუდენტისთვის იყოს მკაფიო და შედეგთან შესაბამისი. მაგ., ინგლისურისა და რუსულის ენების მოდულებში ლიტერატურაში, მითითებულ სახელმძღვანელოებში არ არის დაზუსტებული ენის ფლობის რომელი დონის სახელმძღვანელოა ან მითითებულია ყველა დონე (A2/ B1/B2) , რამაც შესაძლებელია, სტუდენტი შეცდომაში შეიყვანოს;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული საინჟინრი გრაფიკის ოპერატორის“, „სასტუმროს მართვის სპეციალისტის“, „ტანსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერისა“ და „ფინანსური მენეჯერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

✓ შ.პ.ს საზოგადოებრივ კოლეჯ ”გეორგია”-ს შინაგანაწესით;

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებებით № 29, 28/09/2018;

✓ პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მემორანდუმებით;

✓ დანართი N2 - ცვლილებების ბრძანებით № 4. 09/02/2019

✓ დანართი N3 - პროფესიული საგანმანატლებლო პროგრამებით - 4 ფურცლად.

✓ ინტერვიურებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) 2018 (არქივის სახით ასევე კატალოგი 2017), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რომელთა განხორციელების უფლება აქვს.

გარდა ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციისა, დაწესებულების მიერ შემუშავებული კატალოგი მოიცავს ინფორმაციას კოლეჯის მიერ განხორციელებული პროექტებისა და კოლეჯის სხვა მიღწევების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) 2018;
- ✓ http://colgeo.edu.ge , http://colgeo.edu.ge/geo/katalog.php

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

კოლეჯის სასწავლო მეთოდური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების **ტანსაცმლის კონსტრუქტორ -დიზაინერი (**შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის „სამკერვალო წარმოება **Sawing industry**“ საფუძველზე); ***„სასტუმროს მართვის სპეციალისტი“*** (შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის „ **სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering**“ საფუძველზე) ; **„ფინანსური მენეჯერი“** (შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის „ **ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting**“ საფუძველზე); **„კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“ (**შექმნილია ჩარჩო დოკუმენტის **„კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი“** საფუძველზე) სწავლის შედეგები, შეესაბამება მითითებულ ჩარჩო დოკუმენტებს (პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებს).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);

✓ „**სასტუმრო, რესტორანი და კვება/Hotel, Restaurants and Catering**“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);

✓ „სამკერვალო წარმოება **Sawing industry**“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);

✓ „ **ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting**“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი);

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის“, „სასტუმროს მართვის სპეციალისტის“, „ტანსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერისა“ და „ფინანსური მენეჯერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი, პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელიც მიღებულია სასწავლო-მეთოდური საბჭოს სხდომაზე 2011 წლის 27.01.ოქმით N1 და შეტანილია ცვლილებები მათივე გადაწყვეტილებით ოქმი № 2 8.05.2017

დოკუმენტში განსაზღვრულია მოდულური პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესი. ვიზიტის დროს შემოწმდა სტუდენტების რეესტრის წარმოება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციებით (2011 წლის 27.01.ოქმით N1 - ოქმი № 2 8.05.2017);
- ✓ ინტერვიუირებით;
- ✓ რეესტრით vet.ge;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია შ.პ.ს. საზოგადოებრივ კოლეჯ "გეორგია"-ს პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციებში. დაწესებულება წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ ორგანიზაციას. ამ ასოციაციაში შემავალ კოლეჯებს გაფორმებული აქვთ მემორანდუმი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ურთიერთანამშრომლობასთან დაკავშირებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შ.პ.ს. საზოგადოებრივ კოლეჯ "გეორგია"-ს პროფესიულ სტუდენტთან დაკავშირებული რეგულაციებით (2011 წლის 27.01.ოქმით N1 - ოქმი № 2 8.05.2017);
- ✓ მემორანდუმით კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრ კოლეჯებს შორის;
- ✓ ინტერვიუირებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტირტი არ არის

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისათვის შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუქცია" რომლის თანახმად „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუქცია ადგენს პროფესიული პროგრამების შეფასების განხორციელების პროცედურებს და შეფასების შესაძლო შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებს ახორციელებს ხარისხის მართვის სამსახური და შედეგებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. შეფასების შედეგები განიხილება სასწავლო მეთოდურ საბჭოზე, რომლის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, მტკიცდება მოქმედებათა კონკრეტული გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ „საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუქცია" სასწავლო მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმი #8 15.03. 2012 ცვლილებები შეტანილია შ.პ.ს საზოგადოებრივი კოლეჯი "გეორგია"-ს სასწავლო მეთოდური საბჭოს სხდომის ოქმით # 2. 8.05.2017.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

✓ ინტერვიუირებით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგიას“ მისამართია ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. 2.

შენობა-ნაგებობის (რეესტრის მიხედვით უძრავი ქონების საკადასტრო კოდი [redacted] ნაკვ. 01/026) საერთო ფართია 2019,00 მ². საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით შენობის მე-4 სართულზე გიორგი ბერაია და ნათელა საყვარელიძე ფლობს 515,5 მ² ფართობს. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგია“-სა და მესაკუთრეებს შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება (საბოლოო თარიღი 30/04/2021).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. 2 (ს/კ [redacted] ნაკვ. 01/026)	515,5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან ([redacted]);
- ✓ საკადასტრო კოდი N[redacted]

შეფასება:

- ✓ [redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ✓ ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს.

ფინანსური მენეჯერი

B გარემო (აუდიტორია N1) - დამონტაჟებულია <u>10 სამაგიდო</u> კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული სტუდენტებისთვის(ინსტალირებულია საბუღალტრო პროგრამა), რომელთა მახასიათებლებიც შეესაბამება მოდულებში მითითებულ პარამეტრებს; კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, პროექტორი და მრავალფუნქციური პრინტერი (კომბაინი).

A გარემო (აუდიტორია N7) - დამონტაჟებულია პორტატული კომპიუტერი პედაგოგისთვის და პროექტორი. <u>10 მაგიდა</u> და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის.

სასწავლო დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რიცხვის განსაზღვრისას მოჰყავს შემდეგი არგუმენტი:

„იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული სტუდენტი კრედიტების გარკვეულ ოდენობას პროგრამის ფარგლებში 99 კრედიტიდან, ითვისებს A გარემოში 48 კრედიტს და B გარემოში 51 კრედიტს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ B გარემოს საკონტაქტო საათების ნაწილი (თეორიული) შეიძლება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

განხორციელდეს A გარემოში , დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი (20 სტუდენტი), ხოლო ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით ოთხმაგი ოდენობა, ე.ი რესურსი შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს“

ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სტუდენტთა ეს რაოდენობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული და მოითხოვეს სავარაუდო ცხრილი, რომლითაც დაწესებულება აპირებს სასწავლო პროცესის წარმართვას და 40 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ცხრილი ვერ წარმოადგინეს. ამიტომ მოცემული პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ ერთ ცვლაში 10 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი

B გარემო (აუდიტორია N9) - დამონტაჟებულია 15 სამაგიდო კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა მახასიათებლებიც შეესაბამება მოდულებში მითითებულ პარამეტრებს; კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, მონიტორი დემონსტრირებისთვის და მრავალფუნქციური პრინტერი (კომბაინი).

A გარემო (აუდიტორია N7) - დამონტაჟებულია პორტატული კომპიუტერი პედაგოგისთვის და პროექტორი. 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის.

C გარემო (აუდიტორია N6) - დამონტაჟებულია პორტატული კომპიუტერი პედაგოგისთვის და პროექტორი. 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. დამონტაჟებულია შესაბამისი მოდულებისთვის განკუთვნილი ინვენტარი.

სასწავლო დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რიცხვის განსაზღვრისას მოჰყავს შემდეგი არგუმენტი:

„იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული სტუდენტი კრედიტების გარკვეულ ოდენობას პროგრამის ფარგლებში 64 კრედიტიდან, ითვისებს A გარემოში 14 კრედიტს, B გარემოში 31 კრედიტს და C გარემოში 19 კრედიტს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც რომ B გარემოს და C გარემოში საკონტაქტო საათების ნაწილი (თეორიული) შეიძლება განხორციელდეს A გარემოში , დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B და C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

ორმაგი (30 პროფესიული სტუდენტი), ხოლო ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით ოთხმაგი ოდენობა, ე.ი რესურსი შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს“.

ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სტუდენტთა ეს რაოდენობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული და მოითხოვეს სავარაუდო ცხრილი, რომლითაც დაწესებულება აპირებს სასწავლო პროცესის წარმართვას და 60 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ცხრილი ვერ წარმოადგინეს. ამიტომ მოცემული პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ ერთ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

ტანსაცმლის კონსტრუქტორ -დიზაინერი

B გარემო (აუდიტორია N8) - დამონტაჟებულია 10 სამაგიდო კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტებისთვის, კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, მონიტორი დემონსტრირებისთვის და მრავალფუნქციური პრინტერი (კომბაინი).

A/C გარემო (აუდიტორია N5) - დამონტაჟებულია პორტატული კომპიუტერი პედაგოგისთვის და პროექტორი. 10 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის.

C გარემო (საკონსტრუქტორო სახელოსნო) - დამონტაჟებულია პორტატული კომპიუტერი პედაგოგისთვის და პროექტორი. 10 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. განთავსებულია 10 საკერავი მანქანა და შესაბამისი მოდულებისთვის განკუთვნილი ინვენტარი.

სასწავლო დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რიცხვის განსაზღვრისას მოჰყავს შემდეგი არგუმენტი:

„იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული სტუდენტი კრედიტების გარკვეულ რაოდენობას ითვისებს A, B, C1 და C2 გარემოში, გარკვეულ რაოდენობას პრაქტიკის ობიექტზე - საზოგადოებრივ კოლეჯ “გეორგია“-ს პარტნიორ ორგანიზაციაში (შპს „ უნისტილი “ და სპს „ევროტექსი“) რომლთანაც მემორანდუმების მეშვეობით უზრუნველყოფილია ამ პროგრამის განხორციელება , დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს შესაბამის C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი (20 პროფესიული სტუდენტი), ხოლო ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით ოთხმაგი ოდენობა, ე.ი რესურსი შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სტუდენტთა ეს რაოდენობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული და მოითხოვეს სავარაუდო ცხრილი, რომლითაც დაწესებულება აპირებს სასწავლო პროცესის წარმართვას და 40 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ცხრილი ვერ წარმოადგინეს. ამიტომ მოცემული პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ ერთ ცვლაში 10 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

სასტუმროს მართვის სპეციალისტი

A/C გარემო - დამონტაჟებულია სამაგიდო კომპიუტერი კომპლექტი პედაგოგისთვის და პროექტორი. მაგიდა და სკამი 30 პროფესიული სტუდენტისთვის. ტელეფონი/კომბაინი; სტუმრის სეიფი; წარმოდგენილია სახდასხვა ქვეყნის დროის სარტყელის შესაბამისი პლაკატები.კომპიუტერში ინსტალირებულია საოფისე პროგრამები, სასტუმრო მართვის პროგრამები - Kwhotel და "ოდისია", ტელევიზიის მართვის პროგრამა. დაწესებულება ასევე იყენებს სამედიცინო ოთახს, რომელშიც დამონტაჟებულია შესაბამისი ინვენტარი, შესაბამისი სპეციფიკის (პირველადი გადაუდებელი დახმარება) მოდულის სწავლებისას.

B გარემო (აუდიტორია N8) - დამონტაჟებულია 10 სამაგიდო კომპიუტერი კომპლექტი პროფესიული სტუდენტებისთვის, კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისთვის, მონიტორი დემონსტრირებისთვის და მრავალფუნქციური პრინტერი (კომბაინი).

ტანსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერი და სასტუმროს მართვის სპეციალისტი პროგრამებისთვის გამოიყენება ერთი და იგივე B სასწავლო გარემო.

სასწავლო დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რიცხვის განსაზღვრისას მოჰყავს შემდეგი არგუმენტი:

„იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული სტუდენტი კრედიტების გარკვეულ ოდენობას დაახლოებით 50 %-ს პროგრამის ფარგლებში (80 კრედიტიდან დაახლოებით 41 კრედიტს), ითვისებს A და C1 სასწავლო გარემოში - სააქტო დარბაზში, , დანარჩენ კრედიტებს კი B გარემოში და C2 გარემოში - პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯს აქვს საშუალება, ერთ ცვლაში მიიღოს A და C1 სასწავლო გარემოში - სააქტო დარბაზში, პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი (60 პროფესიული სტუდენტი) ოდენობა, ხოლო ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით ოთხმაგი ოდენობა, ე.ი რესურსი შეადგენს 120 პროფესიულ სტუდენტს“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სტუდენტთა ეს რაოდენობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული და მოითხოვეს სავარაუდო ცხრილი, რომლითაც დაწესებულება აპირებს სასწავლო პროცესის წარმართვას და 120 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა ცხრილი ვერ წარმოადგინეს. ამიტომ მოცემული პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, ექსპერტები ადასტურებენ ერთ ცვლაში 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვიზუალური დათვალიერებით;
- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები);
- ✓ მოძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტით (ინვენტარიზაციის აქტი).

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო დაწესებულებაში არის ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა.

სველი წერტილები გამიჯნულია ქალებისა და მამაკაცებისათვის. სველი წერტილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

- ✓ კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი სრულადაა წარმოდგენილი ბიბლიოთეკაში. საბიბლიოთეკო ფონდი აღრიცხულია ბეჭდურ კატალოგში, ელექტრონული წიგნები ჩატვირთულია სამკითხველო დარბაზში დამონტაჟებულ კომპიუტერებში, წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში გაწევრიანებული კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 4 პერსონალური კომპიუტერი (1 ბიბლიოთეკარის და 3 სტუდენტებისთვის) და საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი).

კოლეჯს შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკის დებულება“, რომელიც გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და განთავსებულია ვებგვერდზე. ვებგვერდზე ხელმისაწვდომია „online ბიბლიოთეკა, სადაც იძებნება ინფორმაცია 341 წიგნზე.

კოლეჯში საბიბლიოთეკო საქმეს წარმართავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია კოლეჯის შინაგანაწესში (მუხლი 21).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ბიბლიოთეკის დებულებით;
- ✓ შინაგანაწესით;
- ✓ ინტერვიუირებით;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს აქვს 44 სამაგიდო და 6 პორტატული კომპიუტერი, აქედან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენება 40 სამაგიდო და 5 პორტატული, ხოლო ადმინისტრაციისთვის - 4 სამაგიდო და 1 პორტატული კომპიუტერი. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტის ქსელში, ხელმისაწვდომია როგორც სადენიანი ასევე უსადენო კავშირი. კოლეჯის მართვის პროცესში გამოიყენება ვებგვერდი, სოციალური ქსელი. ვებგვერდი დომენური სახელით - " http://colgeo.edu.ge" წარმოადგენს საინფორმაციო წყაროს დაინტერესებული პირებისათვის. აღნიშნული დომენი სასწავლო დაწესებულებას რეგისტრირებული აქვს 2006 წლის 18 დეკემბრიდან, რეგისტრაციის ვადაა 2019 წლის 18 დეკემბრამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტებით;
- ✓ ვებგვერდით http://colgeo.edu.ge ;
- ✓ შპს დომენები.ჯი(domenebi.ge) -ს დომენის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციით;
- ✓ ვიზუალური დათვლიერებით;
- ✓ ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ბეჭედდასმული და აკინძული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალებით;
- ✓ საქმისწარმოების დებულებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

კოლეჯის დირექტორის სამართლებრივი აქტით რეგულირდება საგანგებო სიტუაციებში მოქმედების მექანიზმი. კოლეჯის დერეფანში მოთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრი ინვენტარი და გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესები.

კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრულია „წესრიგისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის - წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის მოვალეობები.

კოლეჯის პერსონალი მომზადებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების გასაწევად, კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. იგი უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი ზომების გატარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს სამედიცინო ოთახის აღჭურვას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი მედიკამენტებით. მედიკამენტების ვარგისიანობის (ვადა, შენახვისათვის დადგენილი წესების დაცვა და ა.შ) შემოწმების კონტროლს ახორციელებს კოლეჯის კვალიფიცირებული პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შინაგანაწესით;
- ✓ ბრძანებით N45 (07/12/2017) „წესრიგის დაცვის შესახებ“;
- ✓ ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს ფაირექს.ჯი(გამყიდველი) და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“(მყიდველი)-ს შორის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და ვიდეოთვალთვალის სისტემების მიწოდებაზე;
- ✓ სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების წესით (ოქმი N2. 08/05/2017);
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შენობა, სადაც განთავსებულია სასწავლო დაწესებულება, აღჭურვილია ასაკეცი კიბის პანდუსებით. სველი წერტილი ადაპტირებულია. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით დასაწყობებული აქვთ მისადგამი პანდუსი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდია http://colgeo.edu.ge , რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების შესახებ შემდეგი ინფორმაცია: ისტორია, მისია, კოლეჯის დებულება, სტრუქტურა, ინფორმაცია ავტორიზაციის შესახებ; ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის; ინფორმაცია აბიტურიენტებისათვის; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; დაწესებულების სამართლებრივი აქტები; „კატალოგი“, ბიბლიოთეკის დებულება და online-ბიბლიოთეკა; ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. განთავსებულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ვებ-გვერდით http://colgeo.edu.ge;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2016-2022) და ერთწლიანი (2018) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ. სტრატეგიული გეგმაში გაწერილია: სტრატეგიული მიზნები, დაგეგმილი აქტივობა, პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები. სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილია 8 ძირითადი მიზანი, რომელშიც ჩაშლილია ამოცანები წლების მიხედვით, თუმცა 2016-2022 წლების გეგმა იწყება 2017 წლის აქტივობებით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, 2016 წელს შემუშავებული იყო სამოქმედო გეგმა. სასურველია, რომ ასეთი ტიპის აცდენები შემდგომში გათვალისწინებული იყოს. დაწესებულება ადგენს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებს. საიტზე წარმოდგენილია 2013-დან 2017 წლის ჩათვლით ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“ გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმით;
- ✓ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „გეორგია“-ს 2018 წლის სამოქმედო გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეებით;
- ✓ გასაუბრებით ადმინისტრაციის წევრებთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

განხორციელება იგეგმება 28 პროფესიული განათლების მასწავლებლით, საიდანაც 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმოადგენს დარგის მიმართულებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **სასტუმროს მართვის სპეციალისტის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება 22 პროფესიული განათლების მასწავლებლით, საიდანაც 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმოადგენს დარგის მიმართულებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **ტანსაცმლის კონსტრუქტორ-დიზაინერის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება 23 პროფესიული განათლების მასწავლებლით, საიდანაც 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმოადგენს დარგის მიმართულებას.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი **ფინანსური მენეჯერის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება იგეგმება 21 პროფესიული განათლების მასწავლებლით, საიდანაც 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი წარმოადგენს დარგის მიმართულებას.
მთლიანობაში დაწესებულების რეესტრის მიხედვით პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა შეადგენს 41 , ხოლო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რასაც ითხოვს დაწესებულება შეადგენს - 260-ს. **ექსპერტთა რეკომენდაცია სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით ორი ცვლის შემთხვევაში არის - 160 სტუდენტი. ექსპერტთა მოსაზრება ოთხივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით აღწერილია 2.1.ბ. ქვესტანდარტში.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- ✓ ხელშეკრულებებით;
- ✓ საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. გაფორმებულია მომსახურეობის ხელშეკრულებები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებში ასახულია ხელშეკრულების საგანი (განსახორციელებელი მოდულები); მხარეთა უფლება-მოვალეობები; საათობრივი ანაზღაურება; სახელშეკრულებო ვადა (პროგრამის განხორციელების დღიდან 10 თვე, 1 წლამდე ავტომატური გაგრძელების პირობით).

<u>საგულისხმოა, რომ პროგრამის სასწავლო გეგმები გაწერილია 60 და მეტ კვირაზე.</u> ექსპერტთა რეკომენდაციაა, გადაიხედოს მომსახურეობის ხელშეკრულებებები და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი იმ მოდულებთან და კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმასთან (პროგრამის მოცულობასთან), რათა პროგრამის მდგრადობა იყოს დასაბუთებული. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მომსახურეობის ხელშეკრულებები გაფორმებულია 10 თვით (ერთი წლით ვადის გაგრძელების პერსპექტივით), როდესაც პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი მოდული კი პირველი წლის პირველ და მეორე წლის მეორე სემესტრში ხორციელდება. სასურველია, ასეთი მომსახურეობის ხელშეკრულების ვადა მოიცავდეს პროგრამის ან მოდულების განხორციელების პერიოდს. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული თანამდებობის პირს ჰქონდა ერთდროულად როგორც შრომითი ხელშეკრულება, ასევე მომსახურეობის ხელშეკრულებაც, რაც მომსახურეობის ხელშეკრულების დადების მიზანს ალოგიკურს ხდის. ექსპერტთა რეკომენდაციაა, ასეთი ტიპის შეუსაბამობები გასწორდეს.

შ.პ.ს საზოგადოებრივ კოლეჯ "გეორგია"-ს შინაგანაწესში, რომელიც მიღებულია სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ (ოქმი 1 27.01.2011)წარმოდგენილია დაწესებულების **სტრუქტურის სქემა,** სადაც ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულად მითითებულია **„ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური",** შემდგომ მთელ დოკუმენტში რეგულაციები გაწერილია **„ხარისხის მართვის სამსახურისათვის".** ასევე სქემაში წარმოდგენილია **„ბიზნესისა და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება",** ხოლო ტექსტში საუბარია **„სასწავლო განყოფილებაზე".** ასევე პუნქტი **17.4 " სასწავლო განყოფილების გამგე/გამგეები"** მითითებულია, რომ „სასწავლო განყოფილების გამგე/გამგეები ერთობლივად მიმართულების ხელმძღვანელებთან მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და სასწავლო კურსების (სილაბუსების) /მოდულების შედგენაზე". ამავე პუნქტში მითითებულ სხვა ვალდებულებებში **სასწავლო განყოფილების გამგე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

მოხსენიებულია როგორც **სასწავლო ნაწილი,** შემდეგ ისევ როგორც განყოფილების გამგე. სასურველია, დაზუსტდეს თანამდებობის დასახელებები და შესაბამისობაში იყოს მოყვანილი კანონმდებლობის მოთხოვნებსა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ პერსონალთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;
- ✓ სტუდენტებთან და მშობლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

რეკომენდაცია:

- ექსპერტთა რეკომენდაციაა, გადაიხედოს მომსახურეობის ხელშეკრულებებები და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი იმ მოდულებთან და კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმასთან (პროგრამის მოცულობასთან), რათა პროგრამის მდგრადობა იყოს დასაბუთებული. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც პროფესიულ მასწავლებელთან მომსახურეობის ხელშეკრულებები გაფორმებულია 10 თვით (ერთი წლით ვადის გაგრძელების პერსპექტივით), როდესაც პროგრამის ხანგრძლივობა 2 წელია და პროფესიული მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი მოდული კი პირველი წლის პირველ და მეორე წლის მეორე სემესტრში ხორციელდება. სასურველია, ასეთი მომსახურეობის ხელშეკრულების ვადა მოიცავდეს პროგრამის ან მოდულების განხორციელების პერიოდს. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული თანამდებობის პირს ჰქონდა ერთდროულად როგორც შრომითი ხელშეკრულება, ასევე მომსახურეობის ხელშეკრულებაც, რაც მომსახურეობის ხელშეკრულების დადების მიზანს გაუგებარს ხდის. ექსპერტთა რეკომენდაციაა, ასეთი ტიპის შეუსაბამობები გასწორდეს.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი	მესამე	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 040679	64	79	ქართული ენა	ქ. თბილისი თ. ერისთავის ქ. 2	0	15
2	ტანსაცმლის კონსტრუქტორ - დიზაინერი	მესამე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 040966	99	114	ქართული ენა	ქ. თბილისი თ. ერისთავის ქ. 2	0	10
3	სასტუმროს მართვის სპეციალისტი	მეოთხე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში 112069	80	110	ქართული ენა	ქ. თბილისი თ. ერისთავის ქ. 2	0	30
4	ფინანსური მენეჯერი	მეხუთე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული ენა	ქ. თბილისი თ. ერისთავის ქ. 2	0	10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 3 ფურცლად

დანართი 2. ბრძანება ცვლილებების შესახებ - 1 ფურცლად

დანართი 3. ამონარიდები პროგრამებიდან და სასწავლო გეგმებიდან - 4 ფურცლად

სულ - 8 ფურცლად

27.03.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. თბილისი, 2019